– განსახლების შემდგომ დაზარალებულს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს ადაპტაცია — ინტეგრაციის ღონისძიებების განხორციელება.

ითვალისწინებს თუ არა საქართველოს კანონმდებლობა სტატუსიდან გამომდინარე დახმარებას სტიქიური მოვლენით დაზარალებული პირის ან ეკომიგრანტისათვის?

საქართველოს კანონმდებლობა სტიქიური მოვლენით დაზარალებული პირების ან ეკომიგრანტებისათვის სტატუსიდან გამომდინარე დახმარებას არ ითვალისწინებს. მათ უფლება აქვთ ჩაერთონ სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გათვალისწინებულ სახელმწიფო პროგრამაში.

რას გულისხმობს განსახლების შემდგომი ადაპტაცია — ინტეგრაციის ღონისძიებები?

ადაპტაცია — ინტეგრაციის ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ვალდებულია შეიმუშავოს და განახორციელოს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ღონისძიებები, რომელიც ხელ შეუწყობს ეკომიგრანტთა შეგუებას და დამკვიდრებას განსახლებულ რეგიონში.

აქვს თუ არა ეკომიგრანტ პირს უფლება, განსახლების შედეგად სახელმწიფოს გადმოცემული საცხოვრებელი სახლი დაირეგისტრიროს საკუთრებაში?

დღევანდელი მდგომარეობით ეკომიგრანტებისათვის სარგებლობაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო იტოვებს მესაკუთრის უფლებას.

რა შემთხვევაში აქვს უფლება სტიქიით დაზარალებულ პირს მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს?

იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულის ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის შეთავაზება ან ფულადი კომპენსაციით უზრუნველყოფა, დაზარალებულს, უფლებების დაცვის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს.

დაირღვა

თქვენი უფლებები?

მიმართეთ

სახალხო დამცველს!

საქართველოს
სახალხო
დამცველი

ზუგდიდის ოფისი
კოსტავას ქ. №58

ტელ.: (+995 32) 2 23 44 99
(+995) 77 50 52 34
(+995) 99 47 38 31

www.ombudsman.ge

გამოიცა სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „ადამიანური უსაფრთხოებისა და სოციალური ინტეგრაციის პროექტის" ფარგლებში ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

Empowered lives.
Resilient nations.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირთა/ ეკომიგრანტთა უფლებები

საქართველოს
სახალხო
დამცველი

არსებობს თუ არა საქართველოში საკანონმდებლო ბაზა სტიქიურად დაზარალებული და ეკომიგრანტი პირების შესახებ?

საქართველოში სპეციალური საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც აწესრიგებს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირებისა და ეკომიგრანტებთან დაკავშირებულ საკითხებს არ არსებობს.

პრაქტიკაში ვინ ითვლება სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულად?

პრაქტიკაში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებსაც სტიქიური მოვლენის შედეგად არ დაუტოვებიათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი, რომელთა სახლი დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად, თუმცა ექვემდებარება აღდგენას.

პრაქტიკაში ვინ ითვლება სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირად – ეკომიგრანტად?

პრაქტიკაში იძულებით გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს.

© გიორგი კუპატაძე/ IWPR

ვის შეიძლება მიმართოს პირმა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის შესახებ მონაცემების მოპოვების მიზნით?

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ანარმოებს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული მოქალაქეების მონაცემთა ერთიან ბაზას. შესაბამისად, საცხოვრებელი სახლის დაზიანებასთან დაკავშირებით ინფორმაციისათვის დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს სამინისტროს.

ვის შეიძლება მიმართოს პირმა სტიქიური მოვლენების შედეგად მისი საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში?

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს.

რა სახის დახმარების მოთხოვნის უფლება აქვს სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებულ პირს?

დაზარალებულს უფლება აქვს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოსთხოვოს საცხოვრებელი სახლის დაზიანების კატეგორიის დადგენა და ამ ინფორმაციის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში გადაგზავნა.
- იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი დასკვნის მიხედვით, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლი ექვემდებარება აღდგენას, დაზარალებულს შეუძლია მიმართოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და მოითხოვოს დახმარება.
- შედგენილი დასკვნის მიხედვით, თუ დაზიანებული საცხოვრებელი სახლი არ ექვემდებარება აღდგენას, დაზარალებულს უფლება აქვს სამინისტროსგან მოითხოვოს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა/ განსახლება.

საქართველოს სახალხო დამცველს ბატონ უჩა ნანუაშვილს

მონაცემები განმცხადებლის შესახებ

სახელი: _____

გვარი: _____

მისამართი: ქალაქი (რაიონი): _____ ქუჩა: _____ № _____

ტელეფონი: _____ ელ-ფოსტა: _____

განცხადება

განმცხადებლის ხელმოწერა: _____ თარიღი: _____ წელი, თვე, რიცხვი